**ხელშეკრულება № 50-2017**
**ევროვიზია –01/ 08**
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**ქ. თბილისი** **25 ოქტომბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“** წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ დიდიძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „ჯეონეთი“** წარმომადგენელი მისი დირექტორის ალექსანდრე ქევხიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“ ერთად წოდებული მხარეებად ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას;

**1.ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი**

1.1 ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს:

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ოქტომბრის N2171 განკარგულება;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ოქტომბრის N 2214 განკარგულება;
- სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს“ მიერ ჩატარებულია ფასთა გამოკითხვა.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (**CPV კოდი 72400000** – ინტერნეტ მომსახურებები):

2.2. შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი უზრუნველყოფს:

ქ. თბილისში *რუსთაველის გამზ. #31* , “ოლიმპიურ სასახლეში“ გლობალური ინტერნეტის მოწოდებას, შემდეგი პირობების დაცვით:

- სიჩქარე 1 გბ/წმ
- გარანტირებული ხარისხით;
- IP მისამართებით;
- დეტალური სტატისტიკით;
- პროფესიონალური კონსულტაციებით;
- პერსონალური მენეჯერის მომსახურებით;
- ტექნიკური მხარდაჭერით;

2.3. მომსახურების გაწევის პერიოდია 2017 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

**3. გასაწევი მომსახურების ტექნიკური მახასიათებლები**

| გლობალური ინტერნეტი | გლობალური ინტერნეტი | ლოკალური ინტერნეტი | ლოკალური ინტერნეტი |
|---|---|---|---|
| Upload - 1 გბ/წმ | Download – 1 გბ/წმ | Upload – 1გბ/წმ | Download - 1 გბ/წმ |

3.1. 1 გბ/წმ სიჩქარის კავშირი /28 Mask–ით ინტერნეტ მოხმარებისათვის.

3.2 ინტერნეტის მიწოდებისას უნდა განხორციელდეს 24 საათიანი (24/7) ტექნიკური მხარდაჭერა და შეუფერხებელი მიწოდება.

## 4.გასაწევი მომსახურების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე მომსახურების გაწევის პერიოდზე საერთო ღირებულება შეადგენს **35000.00(ოცდათხუთმეტიათასი)ლარს.** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

## 5.გასაწევი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისი „მიღება–ჩაბარების" აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი
6.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
6.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2017 წლის 01–30 ნოემბრის პერიოდზე.
8.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 საბანკო დღეში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10.ფორს-მაჟორი

10..1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10..2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10..3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტ

11.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12.ინტერესთა კონფლიქტი

12.1 „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

**ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.**

**მხარეთა რეკვიზიტები:**

„შემსყიდველი“
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო".
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003
ხაზინის ერთიანი ანგარიში
GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი – TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

ნიკოლოზ დიდიძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს „ჯეონეთი“
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #41
ტელ: 995 32 2470000
საიდენტიფიკაციო კოდი: 204918321
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE43BG0000000118402601

ალექსანდრე ქევხიშვილი
დირექტორი